ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თელავი, 09 იანვარი 2014 წელი
აბონენტის №

ერთის მხრივ, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია", მდებარე: ქალაქი თელავი, ალაზნის გამზირი №93, წარმოდგენილი მისი გაკოტრების მმართველის აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის **ზაურ რეხვიაშვილის** სახით შემდგომში მოხსენიებული როგორც „გამყიდველი" და **მეორეს მხრივ,** სსიპ თეელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევის საჯარო სკოლა. მისამართი: საქართველო, სოფელი კისისხევი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლიანა ერგემლიძის სახით შემდგომში მოხსენიებული როგორც „მყიდველი (მომხმარებელი)", ორივე ერთად **„მხარეებად"** წოდებულნი ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული აქტების საფუძველზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულება დადებულია ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე და განსაზღვრავს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის (მომხმარებლისათვის) მის მიერ განცხადებაში მითითებულ ადგილზე (მისამართი) ელექტროენერგიის მიწოდებას, კერძოდ: საქართველო, ქ. თელავის რაიონი სოფელი კისისხევი

მუხლი 2. მხარეთა ზოგადი ვალდებულებები
2.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ურთიერთობა აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებით" განსაზღვრული პირობებით.
2.2. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია, მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ანგარიშსწორება აწარმოოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული ტარიფით.
2.3. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია არ დაუშვას მოხმარებული ელექტროენერგიის დებიტორული დავალიანების წარმოქმნა - დაგროვება. კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას შეიტანოს ანგარიშზე დარიცხული დეპოზიტი.
2.4. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია შეისყიდოს და მოიხმაროს ელექტროენერგია საყოფაცხოვრებო/<u>არასაყოფაცხოვრებო</u> მიზნებისათვის.
(მონიშვნით)
2.5. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია დაუშვას მიმწოდებლის წარმომადგენლები მოხმარებული სიმძლავრის, ძაბვის გასაზომად, ელექტროენერგიის სხვა პარამეტრების კონტროლისათვის, მიმწოდებლის ელექტრომოწყობილობის დასათვალიერებლად, რომელიც არსებობს აბონენტის კუთვნილ ტერიტორიაზე და აღრიცხვის კვანძის შესამოწმებლად.
2.6. მყიდველი (მომხმარებელი) ვალდებულია უზრუნველყოს აღრიცხვის კვანძის, ბრჯენების დაცვა დაზიანებისგან და არ შეცვალოს ელექტრომოწყობილობის მიერთების სქემა. დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღრიცხვის კვანძის ყველა შემჩნეული გაუმართაობის შესახებ, ელექტრომოწყობილობების და ბრჯენების დარღვევების შესახებ. არ მოიხმაროს ელექტროენერგია უკანონოდ.
2.7. გამყიდველი ვალდებულია, გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით უზრუნველყოს ელექტროენერგიის საიმედო და ხარისხიანი მიწოდება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.
2.8. გამყიდველი ვალდებულია, ელექტროენერგიის მყიდველს (მომხმარებელს) საფასურის გადახდა მოსთხოვოს ყოველთვიური ანგარიშსწორების ქვითარში გადასახდელი თანხის სრულად ასახვისა და გადახდის ვადის განსაზღვრის საფუძველზე.

ეხლი 3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა:

„გამყიდველი"	**„მყიდველი (მომხმარებელი)"**
სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია" მის: თელავი, ალაზნის გამზირი №93 საიდენტიფიკაციო კოდი: 203866824. სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22. ა\ა GE66BG0000000330883500. ტელ: 0(350)27-42-92; ფაქსი 0(350)27-12-32.	სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევის საჯარო სკოლა მის: სოფელი კისისხევი ს/კ: 2312638824
გაკოტრების მმართველი **აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი** **ზაურ რეხვიაშვილი**	**დირექტორი** **ლიანა ერგემლიძე**